№ 54 მარტი 12, კვირა 1889 მარტი 12, კვირა № 54

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტუხოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ეფემია ილიას ასული მორთუჯაძისა და ელენე მიხეილის ასული ტურიევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი ქმრისა და მეორე ძმისა თვისისა პორუჩიკის ალექსანდრე მიხეილის ძის მორთუჯაძისასა, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ ორშაბათს, 13 მარტს, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ვერაზე (ოლგას ქუჩა), საცა დასაფლავებულ იქმნება განსვენებული იმავე ეკკლესიის გალავანში. (1—1)

ქართული კონცერტი

კვირას, 12 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო

გაჰმართავს სრულიად

ახალ სიმღერების

## კონცერტს

ბ-ნ ა. ი. ბერიძის ლოტბარობით.

ამ კონცერტში ერთს განყოფილებას შეასრულებს ბ-ნ აღნიაშვილის მიერვე ახლად შედგენილი

კეთილშობილ ქალთა ხორო,

რომელიც შესდგება 18 ქართულად ჩაცმულ-დახურულ ქართველ მომღერალ-ქალთაგან.

ანტრაქტებში მსახიობი ბ-ნი ალფერელდო 15 წამის განმავლობაში დაჰხატავს შეიზაჟს საზოგადოების თვალ წინ ზეთის ფერადებით.

ტფილისი, 11 მარტი

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ზოგს სოფელში, როგორც ტფილისშიაც, მღვდლები საუბრებს ჰმართავენ თავთავიანთ მრევლთანაო. ს. წილკანში იქაურის ტაძრის წინამძღვარს ამ თთვის ხუთს უსაუბრნია მრევლთან სწავლა-განათლების საჭიროებასა და საკუთარის სკოლის უქონლობაზე. როგორც მოამბე გვატყობინებდა, წინამძღვრის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე და ბევრი იმ აზრით დაბრუნდა სახლში, რომ საჭიროა საკუთარი სკოლა ვიქონიოთო.

ეს ამბავი მეტად საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთა სულიერ მამათათვის, რომელთა თავი და თავი მოვალეობა ის არის, რომ ერის გონებრივ და ზნეობრივ საჭიროებისათვის იზრუნონ. სამწუხაროდ, იმგვარი ამბავი, რომელიც წილკანიდგან გვაცნობეს, ჩვენში მეტად იშვიათია და ეს ამას გვიმტკიცებს, რომ ჩვენი სულიერნი მამანი თავისს მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებენ და ზოგჯერ კიდეც ივიწყებენ. ძველად სამღვდელოება ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წინამძღოლი იყო სწავლა-განათლებისა და მონასტრებსა და ეკკლესიებში მოზარდი თაობა სწავლობდა წერა-კითხვას, ღვთის-მეტყველებას. მას აქეთ დიდი ხანი გავიდა და ჩვენმა სამღვდელოებამ თითქმის სრულიად დაივიწყა თავის უდიდესი მოვალეობა. მართალია, ამისი მიზეზი მარტო თვით სამღვდელოება არ არის, მაგრამ არც სამღვდელოების გამართლება შეიძლება. ასე თუ ისე სამღვდელოებამ გული აიყარა თავისს უწმინდესს მოვალეობაზე და საეკკლესიო წესისა და რიგის მეტი არა ახსოვს-რა.

ეს გარემოება მით არის სამწუხარო და სანაღვლელი, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენში ძალიან ცოტაა განათლებული კაცები, რომლებსაც შეუძლიათ ერის სულიერს საჭიროებას გაუძღვნენ და ხელი მოუმართონ. სამღვდელოება-კი ცოტად თუ ბევრად განათლებულ დასად ითვლება. იგი რაოდენობითაც დიდია და ყოფა-მდგომარეობითაც სხვა დასებზე უფრო მაღლა სდგას. ხალხთანაც მეტი დამოკიდებულება და კავშირი აქვს და ამიტომ მეტი საშუალება და სახსარი აქვს თავისს მძიმე, წმინდა და რთულს მოვალეობას პირნათლად გაუძღვეს. ზოგჯერ სოფელში მღვდელი ერთად-ერთი ნასწავლი კაცია, რომელსაც, თუ მართლა ღრმადა და ნათლადა აქვს გაგებული თავისი მოვალეობა, შეუძლიან დიდი სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახუროს და შესამჩნევი ზედ-მოქმედება იქონიოს ერზე, მაგრამ ეს ასე არ არის. ნამდვილად ვიცით, რომ სამღვდელოება ძალიან ნაკლებად ჰზრუნავს სწავლა-განათლებისათვის. ამისი საბუთი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ჩვენი მღვდლები არა სცდილობენ ხალხს ჩააგონონ სწავლა-განათლების საჭიროება, სკოლების დაარსება. თუ სადმე მღვდელმა შრომა და მეცადინეობა გასწია სკოლის გამართვისათვის, ეს მეტად იშვიათი ამბავია. ამიტომაც არის, რომ დიდის სიამოვნებით მივეგებეთ წილკანიდგან მოწერილს ამბავს, რომელიც გვიმტკიცებს, რომ გულწრფელი და დასაბუთებული სიტყვა მოძღვრისა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ეხლა ვიკითხოთ, რა არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენი მღვდლები, როგორადაც სანატრელია ისე ვერ ასრულებენ თავიანთს რთულსა და წმინდა მოვალეობას. ამისი მიზეზი მრავალია და აქ მხოლოდ ერთს გარემოებას შევეხებით. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ჩვენს მღვდლებს ნაკლებად აქვთ შესწავლილი ჩვენის ერისა და ქვეყნის წარსული და აწმყო ვითარება. ზოგჯერ მღვდელმა რიგიანად არ იცის არამც თუ ქართული ისტორია, არამედ ენაც. დღევანდელს სამღვდელოებას ჩვენში არც ის სახელი აქვს მოპოვებული, რომელიც შეჰშვენის, არც იმდენი სამსახური მიუძღვის, რამდენიც მისგან მოსალოდნელი და სავალდებულო იყო. ეს გარემოება იმდენად საყურადღებოა, რომ თვით სამღვდელოებამაც უნდა ათხოვოს ყურადღება, თუ უნდა, რომ საპატიო ადგილი დაიჭიროს და ერსაც სამსახური გაუწიოს...

ა. ხ—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ახლად გამოცემული მოთხრობა ბ-ნ ა. ფურცელაძისა „სამის თავს გადასავალი“, რომელიც დაწერილია 1866 წელს. წიგნი შეიცავს 116 გვერდს, საკმაოდ სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ხუთი შაური.

*** აგრეთვე გამოვიდა მეორე ახალი ქართული წიგნი: „ორი პატარა ამბავი“, რუსულიდგან გადმოკეთებუ-

## ფელეტონი

### პეტრიას ოჯახი

(გურულის გლეხის ცხოვრებიდგან)

მარიობის თთვის მიწურული იყო. ჯუმათის ღრანტე კლდეებზე საყარაულოდ ანთებული ცეცხლი ვარსკვლავებივით ბჟუტავდა. ყანებიდგან ყარაულების კიჟინა მოისმოდა, ორი-სამი თოფიც გავარდა...

სიმინდის დატაროების დროს მუდამ ამ ჭაპან-წყვეტაშია საწყალი ჯუმათელი გლეხი. მოჩიჩბა თუ არა ყანების მარგვლა-თოხნას, დილიდგან საღამომდის მთელის ზამთრის სამყოფი შეშა თავის ზურგით უნდა ზიდოს უგზოობის გამო. ზამთარი-კი ჯუმათში მეტად მკაცრი იცის, ღამით თავისი ნაწვავ ნადაგი სიმინდი დათვისაგან უნდა დაიფაროს. გოლვიან წლებში ასეთი შრომა თითქმის ფუჭად ჩაუვლით ხოლმე, სარჩო ნახევარ წელსაც არ გაჰყვებათ, მაგრამ ხუთი ექვსი მოსახლე გლეხი მაინც შერჩენია ძველ მონასტრის მიდამოს და, თუმც ხშირად მშიერ მწყურვალნი რჩებიან, მაგრამ ჯანს იწყვეტენ და მაინც არა სტოვებენ ნაჩვევ კლდე-ღრეებს.

გათენებამაც მოაწია. უცებ ქვენამ დაუბერა და რამდენისამე წამის განმავლობაში კლდე-ღრეები ნისლითა და ჯანყით აავსო. კიჟინა მისწყდა. ყანებში ცეცხლი მიჰქრა და ჯოჯოხეთისებრ სიბნელემ მოიცო არემარე. ქვენა თანდათან ძლიერდებოდა და მოერეკებოდა შავის ზღვიდგან ნისლის ბნელს გორებს. ამ დროს კარგი ბიჭი იქნება და გაჰბედავს ადგილიდამ დაძვრას! ერთი ფეხი თუ გადაუცდა ციცაბოდგან, მშვიდობით, დაიკარგა კაკალი კაცი! ყოველი სულდგმული, სადაც-კი ნისლი მოასწრებს, იქვე ჩერდება და ელოდება ნისლის აყრას.

მწარე საგონებელში ჩაავდო საწყალი პეტრია ამ ჯოჯოხეთურმა სიბნელემ. იმისი საყვარელი მელანია ყოველ დღე მშობიარობიდგან განთავისუფლებას მოელის და, ვინ იცის, იქნება მუცელი კიდეც ასტკივდა... იქნება შია, იქნება სწყურია და წყალის მიმწვდენი გვერდით არავინ ჰყავს! გული შუაზედ გაგლეჯას ლამის, მაგრამ რა ჰქნას? ჯოჯოხეთივით ბნელი უფსკრულები აშორებს გულის სწორს... წასვლა თუ დარჩენა! სიკვდილი თუ სიცოცხლე!.. ეს ჰამლეტისებური თავის სამტვრევი აზრი აქვს აღძრული თავში. წავიდეს... ვაითუ სადმე ხრამში ჩაიჩეხოს! დარჩეს, ვინ იცის იმის ცოლს რა დამართება! მაგრამ ცოლის სიყვარულმა დასძლია. ზეზე წამოდგა, პირჯვარი გადისახა და წყნარად წაიბუტბუტა: ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული, ვერას მაწყენს მაცდური... ქოჩორზე ხელი მოისვა, თითქო სიმხდალე ჩამოირეკაო, ხელში გრძელი ჯოხი დაიჭირა და წყნარის, მაგრამ მტკიცის ნაბიჯით ღობეს გადმოაბიჯა. მოჩოჩავს პეტრია ფერდოში; მიწას ფეხებს არ აცილებს; ჯოხს მიაფათურებს და გზას იგნებს. უცებ ჯოხმა სიმაგრეზე წვერი ვერ მოიკიდა... ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და... დაიღუპა კაცი! პეტრია ელდა-ნაცემივით შეჩერდა. ეს სა ეშმაკში ჩამოვსულვარო, გაიფიქრა. ქვა აიღო და ხრამში ჩასტყორცნა. რამდენსამე ხანს შემდეგ მოისმა ყრუდ ამოძახილი. თურმე აქ „ეშმაკის ბუდეა“. ვინ იცის რამდენი კაცი და საქონელი ჩაუყლაპავს მისს გაუმაძღარს მუცელს! ნუ თუ პეტრიასაც ჩაჰყლაპავს?! რა ჯანაბამ მოაგდო ამ „ეშმაკის ბუდე“-სთან! რა ქნას საწყალმა პეტრიამ, ამდენი გზა გამოიარა და უკან როგორღა დაბრუნდეს! მარცხნით კიდევ მეორე ხრამია და მის კლდეზედ რამდენიმე ნაბიჯი ვიწრო ბილიკი, „ბეწვის ხიდი“. თუ როგორმე ამ ბეწვის ხიდზედ გავიდა, სახლიც ახლოა და გზაც უკეთესია. ხშირად ასკინკილითიც გაურბენია ამ ბილიკზე პეტრიას, მაგრამ ეხლა ეს წყვდიადი აშინებს. თმა ყალხზე უდგება, მაგრამ მაინც მიდის, აი ბეწვის ხიდსაც მიადგა. პეტრია შიშით კედელს აეკრა და თვალ-დახუჭული, ლოცვების ჩურჩულით და პირჯვრის წერით ოდნავ მიაცოცებს ფეხებს. ბეწვის ხიდსაც გასცილდა. სული მოიბრუნა და ღრმად ამოიხვნეშა, თითქო მძიმე ბარგი ზურგიდგან ჩამოიგდოო, და აჩქარებით შინისაკენ გასწია. აი ქოხიც ახლოა.

ძალიან ჩააძველდა ეს ქოხი პეტრიას ხელში. ქარმა რომ ერთი ძალზედ შემოუბეროს, ნაფოტებსავით მიაბნ-მოაბნევს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ქარი ნაკლებად ხვდება და ბარე ორმოცი წელიწადი შეუსაფრებია მის ჭერებს პეტრია და საწყალი ბერიკაცი, მამა მისი. ახალის სახლისათვის საჭირო მასალა, ცალიერი წაბლის ფიცრები და ისლი სულ თავის ზურგით მოზიდული აქვს პეტრიას. უნდოდა წელსვე აეშენებინა, რომ ასაშენი ფული ბერიკაცის ტირილზე არ დახარჯულა. მაგრამ არა უშავს, აგერ იარმუკობაზე დეკნას [1]) გაჰყიდის და გაისად საუკეთესო ადგილზე გამოსჭიმავს სახლს.

ამ ფიქრებიდგან პეტრია მელანიას კვნესამ გამოიყვანა. ქალი ლოგინში დახვდა. მელანია ქმარს განცვიფრებით შეასტერდა.

— კაცო, ამისთანა ნისლში ყანიდგან რამ მოგიყვანა?

— რა მომიყვანდა? ფეხებმა.

— მე სწორეთ არ მოგელოდი. თავი აღარ გენაღვლება, სადმე ხრამში რომ ჩავარდნილიყავი, ჯვარი აქანაი, მერე ვის ამარად მაგდებდი?

— კილამაც ჩავვარდი! „ეშმაკის ბუდეს“ ზედ კიდეზე გადავადექი და მერე კიდევ „ბეწვის ხიდზედაც“ გამოვიარე, მაგრამ კაცს რაც შუბლზედ არ აწერია, ტყუილია, არა დაუშავდება-რა.

„ეშმაკის ბუდისა“ და „ბეწვის ხიდის“ გაგონებაზე მელანიამ პირჯვარი გადაიწერა და ეშმაკს შეაფურთხა: წმინდა არს! წმინდა არს!..

— შენ როგორღა ხარ?

— ეჰ, რაღა რავა ვარ? შუაღამეს აქეთია მუცელი მტკივა და ძლიერ მაწუხებს. ამ დასამხობში დედამანია [2]) იყოს მაინც ახლო!

— დამაცა, ცოტა ნისლი აიყაროს.

ნისლის აყრის მოლოდინში პეტრიამ ცეცხლი გააჩაღა და იქით-აქეთ ორი ტარო ჭყინტი სიმინდი მიაყუდა. ნისლიც თანდათან აიყარა და შხაპუნა წვიმამ დაუშვა. ამასობაში ტაროებიც შეიწვა. პეტრიამ ერთი ტარო მელანიას მისცა, მეორე თითონ დაიჭირა და ორაგვეში გაემგზავრა დედამანიას მოსაყვანად.

მიდის და მიიხრავს პეტრია სიმინდს.

— რო არ წამოვიდეს ი დედაბერი, რაღა მეშველება! რა უჭირს, გოდორში ჩევისვამ და ზურგით წამოვიყვან. გლახა დარი კია. ნეტავი არ მოუმატებდეს და ამას კიდევ ვინ ჩივა. ჰერი, ბიჭო პეტრია, თუ ბიჭი ეყოლა მელანიას! ბარე ათი წლის იქით გვერდშიაც ამოგიდგება ყანაში. მაგრამ თუ ციცაი [3])... რა ვუყოთ, ღვთის ნებაა! ციცაია მელანიიც, მარა, არ გამიწყრეს ღმერთი, ერთ ბიჭსაც არ ჩამოუვარდება. მადლობა ღმერთს, რომ ამისთანა ქალი შემხვდა, თუ არა ჩემი საქმე წასრული იყო.

ამ ფიქრებით გართული პეტრია კიდეც მიადგა ბებიას კარებს. ბებერი კერიასთან იჯდა. ცხვირის წვერზედ უშველებელი სათვალეები დაეკოსებია და წინდებს ქსოვდა. პატარძალი დერეფანში ძროხას წველდა, უფროსი რძალი-კი ცომს ზელდა. ყაზახები შინ არ იყვნენ.

— დილა მშვიდობის, ბებია!

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს, შვილო!

[1]) დეკნას გურიაში უშობელს ეძახიან.

[2]) დედამანია—ბებია ქალი.

[3]) ციცაი—ქალი.

ლი და გამოცემული გ. შარაშიძისაგან. როგორც სჩანს, წიგნი კარგის, სუფთა ენით არის გადათარგმნული. წიგნი შეიცავს 22 გვერდს და ღირს ერთი შაური.

*** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა იმავე ბ-ნ გ. შარაშიძის სურათებიანი წიგნი «ჰაერი და სითბო».

*** გურიის სოფლის მასწავლებლებმა შემოსწირეს «წერა-კითხვის» გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაწყობს ორმოცი ცალი რუსულიდგან გადმოკეთებული და გამოცემული გიორგი შარაშიძისაგან წიგნი „ორი პატარა ამბავი“.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** **ბარის ოსეთი:** ბარის ოსეთში როგორღაც ნელ-ნელა ისევ იღვიძებს ქურდობა სოფ. ხუმელაგაში იანვარსა და თებერვალში ოთხი ქურდობა მოჰხდა, ოთხს გლეხს გაურეკეს საქონელი ეზოდგან. თებერვლის გასულსავე სოფ. ზილგეში ერთის ოსის ეზოში ღამე უნდოდათ მოეპარათ საქონელი ქიშტებს, მაგრამ ბედმა უმტყუნათ ქურდ-ბაცაცებს. მიადგნენ თუ არა ქურდები ეზოს ღობეს გასაჭრელად, გაუგეს სოფლის ყარაულებმა. ყარაულები ჩაესაფრნენ ქურდებს გამოსავლელს გზაში და როცა გამოიარეს, ესროლეს თოფი. ქურდებმაც იმითვე უპასუხეს ყარაულებს, ასე რომ ორსავე მხრით ცამეტჯერ გავარდა თოფი. ქურდები თურმე თან გარბოდნენ და თან თოფს ისროდნენ. ყარაულებმა ერთი ქურდი მოჰკლეს და თითონ-კი უვნებელად გადარჩნენ. ქურდებმა მკვდარი მაინც წაიღეს. მეორე დღეს სისხლის კვალს გაჰყვა მდევარი და კვალი მიიტანეს მაციყოს სოფელში (ქიშტის სოფელია), მაგრამ მკვდარი ჯერ არ გამოუჩენიათ, მხოლოდ ის მკვდარი კაცი იკითხეს სად არიო და პატრონმა სთქვა: სხვაგან არის წასული და არ მოსულა ჯერაო. ფიცხელი გამოძიება სწარმოებს ამ საქმეზე.

*** გაზ. „ტფილისის ფურცელს“ დეპეშით ატყობინებენ თელავიდგან, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითს განყოფილებას დაუსრულებია კნეინა ევგენია ჯორჯაძის საქმე. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია კნეინა ჯორჯაძისა და დაუდგენია გაგზავნოს ჯორჯაძისა საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში. ამასთანავე სასამართლოს დაუდგენია სთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს სრული შეწყალება და პატიება კნეინა ევგენია ჯორჯაძისა.

*** 9 ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, ღამით, ავჭალის ქუჩაზე, იოსებ მოვშოვიჩის სახლიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთი—სულ 215 მანეთისა. ქურდს ფანჯარა გაუტეხნია. ეჭვი აიღეს მოვშოვიჩის მოსამსახურეზე—ტურაზ ზოციევზე, რომელიც უკვე შეპყრობილია. იმასვე უპოვეს ნაქურდალი ნივთები. გამოძიება სწარმოებს.

*** 10 ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, ტფილისის მაზრის სოფ. ნორიოს მცხოვრები ივანე ნიკოლაშვილი ნორაშენის „სლობოდკის“ ქვემოდ თიხასა სთხრიდა. გაუფრთხილებლობის გამო მიწის ქვეშ მოჰყვა და გაიჭყლიტა.

## ხმა ივრის ხეობიდგან.

კარგა ხანია ივრის ხეობაზედ აღარა დაწერილა-რა, თუმცა დამწერი აქ ბლომად იშოვის მასალას. მე, მაგალითებრ, ბევრი მასალა მეპოვება, მაგრამ ისევ იმის თქმა ვარჩიე, რაც არა ერთხელ თქმულა ივრის ხეობაზედ. დღეს საითკენაც-კი მიიხედავთ ჩვენს ხეობაში, ყველგან უკულმართობას, ყველგან მოუხერხებლობას დაინახავთ. სახლში შეხვალ, გული ვერ დაგიდინჯებია, ვერ მოგისვენებია: ჰხედავ ლოგინში ავადმყოფს და არ იცი-კი, როგორ და რა ნაირად უშველო, ანუ ვის მიმართო. ამოდენა ხეობას, 3,000 კომლს, ერთი ექიმი არა ჰყავს; ტფილისში, სიღნაღს თუ თელავში ბლომად არიან ექიმები, მაგრამ ჩვენ რა? ასე და ამ გვარად უწამლოდ და უდროოდ ბევრი კვდება და წიაღსა შინა აბრაამისასა მიდის განსასვენებლად. კარზედ გახვალ, გაერევი ხალხში და აქაც უეჭველია უნდა სისხლი აიმღვრიო თავ-გასულ, სინიდისსა და პატიოსნებაზედ ხელ-აღებულ ვაჭბატონების მაყურებელმა. გზად წახვალ, უეჭველად ლაფში უგზოობისა გამო ფათერაკს შეემთხვევი. ამ უკანასკნელს დაახწევ თავს, მდ. იორს ველარ გადარჩები, შეგიკრავს ეს დალოცვილი გზას და ან უნდა უკან დაბრუნდე, ან თავი დაირჩო. მე ვიცი, ხიდი გადაგარჩენს! ერთის სიტყვით, ამ ჟამად ყოველის მხრით არა სანატრელია ჩვენი მდგომარეობა. მხოლოდ ის-ღა გვანუგეშებს, რომ გაივლის თუ არა ეს გიჟმაში და დამთხვეული მარტი, პატარა გათბება, ჰაერი შეიცვლება, იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ექიმი გვეღირსოს. რაც შეეხება გზებს, მაზრის უფროსის განკარგულების ძალით ბევარას იძახიან ჩვენის ხეობის სოფლებში. თურმე სასტიკად უბრძანებია მაზრის უფროსს, რომ ყველგან და მეტადრე კოდას გზა წესიერად იქმნას გაკეთებული. ამ გზაზე დადის თითქმის მთელი ხეობა, მაგრამ არამც თუ ურემი, ცხენიც ძნელად გაივლის კოდას გზაზე. იორი ისე მოვარდა, რომ მთელი არე-მარე თან წაიღო, თუმცა ჯერჯერობით არავინ უმსხვერპლია. ყველა-ყველა მაგრამ სოფლის მოხელეების საქმე გვიკვირს. არ იქნება და ჩვენის ხეობის არც ერთს სოფელს არ ეღირსება ხოლმე რიგიანი მოხელეები. ჩაუვარდება, ბატონო, ვისმე ხელში მამასახლისობა არყის ანუ ღვინის წყალობით და მტერს აღენს სოფელს. საწყალმა ხალხმა არ იცის, ვის მიმართოს, როგორ მიმართოს, თავისს ბოლმას ისევ თავისს საკუთარს გულში იტრიალებს და ბოლოს ამ სიტყვებით იქარვებს გულს: «ჩვენი ამორჩეულია და, რასაც გვიშვრება, ახია ჩვენზედ: არაყს და ღვინოს დაეხარბენით და კაცი-კი არ მოვენახეთო» და სხ. ამ სიტყვებს ყველა სოფელში გაიგონებს კაცი... საქართველოს სხვა კუთხეებში არ ვიცი, მაგრამ ქართლში, სადაც თავად-აზნაურობა მრავალია, იქ მამასახლისი სულ უბრალო ვინმეა, მაგრამ ჩვენს ივრის-ხეობაზე-კი მამასახლისი სულ სხვა არის, იგი დიდი ბობოლაა, ერთი სიტყვით, ყოველის მხრით დიდი ვინმეა, უფროსია სოფლისა. იგი სრულიად თავისუფალია, ხმას ვინ გასცემს, ვინ გაექიშპება? ლომი ცხოველების მეფეა, არწივი ფრინველებისა, მამასახლისი კიდევ სოფლისა. თუ ვინმე ჩაუვარდა ხელში, მშვიდობით! ყველა ეს მამასახლისებსა და მის მოდამქაშე მოსამართლეებს კარგად აქვთ გაგებული და შესწავლული. სამი წლიწადი უნდა სჭამონ მოხელეებმა სოფელი და მეოთხეზედ უნდა გადასცენ სხვებს. აქ, ვგონებ, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ის ოსტატობა, რომელსაც ჰხმარობს რომელიმე გლეხი, თუ უნდა მოხელეობა ხელში ჩაიგდოს. მესამე წელიწადი რომ მიიწურება და დადგება თითქმის მოხელეების გამოცვლისა, «სამამასახლისო» ან „სასუდიაო“ კაცი მაშინათვე დაფაცურდება. შესწყვეტს შინაურს საქმე-მუშაობას და დუქნებში დაიწყებს ტანტალს. დუქნებში მათ სახარჯო აქვთ მიბარებული. ვინც იმისთანა კაცი შემოვიდეს, დაალევინე რამე და ხელი მოაწერინეო, ეუბნება მოხელეობის მსურველი. აგერ შევიდა რომელიმე გლეხი დუქანში;—დახლიდარი თვალს უზამს და თანაც ეუბნება: «ჰა გინდა ზახრუმალა», ვითომ არაყიო. გლეხიც თავს უქნევს, ჰოს ეუბნება, სვამს არაყს და ხელს აწერს: ეს-და-ეს გვინდა მამასახლისად, რადგანაც ძალზედ სინიდისიანი, პატიოსანი და ნასწავლი გაგებული კაციაო. თუ წერა არ იცის გლეხმა, იმის მაგიერად მედუქნე აწერს. ყველა ეს ხერხდება, რასაკვირველია, დიდის სიფრთხილით, რომ საეჭვო კაცებმა არ შეიტყონ. შემოვა მეორე, მესამე... აბა არაყზედ და ღვინოზედ უარს ვინ იტყვის! იმისთვის სულ ერთია, ალიას დააყენებენ თუ მუსიას მამასახლისად. მოხელეობის მსურველი დაწკეპილი დადის სოფელში და ამ გვარის საშუალებით ხალხს იძენს, ზოგსაც ნათლიობით და ზოგსაც მუქარით.

ამ ხერხს დღემდე ხმარობენ. ამისტომ დღე-დღეზედ მოველით ჩვენ ხეობაში მოხელეების დასაცვლელად და ახლების ამოსარჩევად მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს.

მკითხველთ კარგათ მოეხსენებათ, რომ ივრის ხეობას მუდამ წელიწადს იკლებენ თათრები. პატივცემულმა უფროსმა საეჭვო კაცები უკვე დათოკა და ვირის აბანოში ამოაყოფინა თავი. თათრებს ყველა სოფლებში ხელი მოაწერინა, თუ არა ვცდებით, რომ რაც ჩვენს ხეობაში რამე დაიკარგება, იმათ უნდა ჰზღონ, ან საეჭვო კაცები გამოაშკარაონ. ამაზედ თათრებმა სრული თანახმობა გამოაცხადეს. იქნება მოვისვენოთ?

ნიკო ლ—ძე

---

— ოტიეი შინ არაა?

— ბატონთან წევიდა გუშინ საღამოს და ჯერ არ დაბრუნებულა.

— ქიშვარდი?

— აგერ მეზობლისას გადეიარა, ძელებს ხევენ. რაზე გარჯილხარ პეტრე, საქმე ხომ არა გაქვს?

— მიშველე, ბებია, ღმერთი გადღეგრძელებს. ქალს მუცელი ასტკივდა, ნუ გამაწბილებ, სული გიცხონდება, წამომყევი.

— რას მიჩივი, პეტრე, აქანაი ძეილათაი ვარ და იქინეი რა ამიყვანს, პირჯვარი დეიწერე!

პეტრიას თვალებზე ცრემლები მოადგა:

— ნუ დამღუპავ, შენი შვილების გახარებას! აგერ ჭინჭში ორი აბაზი მაქვს, გასამრჯელოთ ეს მიირთვი. იარმუკობაზე დეკნას გავყიდი და კიდევ მოგართმევ. წასვლაზე-კი ნუ სწუხარ, აგერ გოდორში ჩაბრძანდი, ზურგზე მოგიკიდებ და ისე მიგიყვან, რომ ვერც-კი შეიტყო.

უფროსი რძალიც დაეხმარა პეტრიას:

— რა გიჭირს, ნენევ, წაჰყევი! პეტრე პატიოსანი კაცია, შენს ჯაფას არ დეივიწყებს, გამოგვადგება. ორი აბაზიც ხომ სახუმრო არაა, ნაგავში ხომ ვერ მეიძევ!

არ ვიცი, პეტრეს ცრემლებმა, ორი აბაზის ხსენებამ, თუ რძლის რჩევამ—ბებერს გული მოულბო. დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ გასამრჯელოს ფასს გარდა პეტრიას იმის სულის საცხონებლად ბერისათვის უნდა ეწირვინებინა მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში.

ჩასვა დედაბერი პეტრიამ გოდორში, თავზე ქილობი გადააფარა, ზურგზე მოიკიდა და შინისაკენ გაუდგა.

წვიმა თან და თან ძლიერდებოდა. პეტრია-კი არ მიდიოდა—მირბოდა. ასი წლის დედაბერი მას სრულიადაც არ ემძიმებოდა. აგერ ორაგვის ღელესაც მიადგა. მაგრამ რა ნახა მისმა თვალებმა!.. ღელე საშინლად მოვარდნილიყო და უშველებელ ლოდებსა და ხეებს მოაქანებდა. გიჟის მეტი მის ტალღებს ვერ შეებრძოლებოდა. დედაბერს გოდორში ჩასძინებოდა და ხმა-მაღლა ხვრინავდა. პეტრია შეჩერდა. მწარე ფიქრები აეშალა საბრალოს, იმდენი უბედურება და ვაი ვაგლახი სძლია, „ბეწვის ხიდზედ“ გამოვიდა, როგორც იქნა დედაბერი დაიყოლია, ყველაფერი გათავებული ეგონა და შინ გახარებული მოდიოდა და დახე, ეს ოხერი ღელე, რომელშიაც ერთი საათით ადრე ფეხის კოჭამდისაც არ დასველებია, გაბრაზებულ მტერსავით წინ გადაეღობა და აღარ უშვებს!.. უცებ გაუელვა პეტრიას თავში: „რაც შუბლზედ არ გაწერია,—არაფერი არ დაგიშავდებაო“. ჰფიქრობს: თუ სიკვდილი მაწერია—უკანაც რომ დავბრუნდე, ან მეხი-კი დამეცემა და ან რაცხა სხვა... რაც მოსავალია, მოვიდეს! დაენდო თავის მძლავრს ფეხებს და გადასწყვიტა გასვლა. ამასობაში დედაბერსაც გამოეღვიძა, თუმცა წლოვანებისაგან ყურებთან მწყრალად იყო, მაგრამ ღელის საშინელი ღრიალი მაინც არ გამოპარვია, შეეხვეწა პეტრიას უკან დაბრუნებულიყო და, როცა თხოვნა არ გაუვიდა, დაუწყო საშინელი წყევა.

— გეიწყვიტე ხმა, შე დედა გაგლეჯილო, თვარა ახლავე წყალს გაგატან! შემოუყვირა პეტრიამ.

რა ექნა საბრალო დედაბერს! საწყალობელი თავ-მოკრულ გოდორში იყო ჩამწყვდეული. თავი მოკრულიც რომ არ ქონოდა, სად ქონდა იმდენი ღონე, რომ გოდრიდგან ამომხტარიყო და თავი დაეხსნა!..

შევიდა პეტრია წყალში. გადაადგა სამი-ოთხი ნაბიჯი. ფეხი დაუცდა და ზურგიდგან გოდორი ჩამოუვარდა. მოისმა დედაბრის საშინელი წყევა-კრულვა... პეტრია გოდორს უკან დაედევნა. აი, ეს-ეს არის დაეწიოს, მაგრამ .. უშველებელი ხის ძირი ზურგში დაეჯახა, წააქცია და საბრალო პეტრია ქვეშ მოიმწყვდია.

ბუნებამ თითქო ეს ორი მსხვერპლი იკმარა და დაცხრა. მზემ გამოაჭყიტა და ხის ფოთლებზედ ჩამოკიდული მსხვილი წვიმის წვეთები ათას ფერად აელვარა. მძვინვარე მდინარეც თითქო მისუსტდა და შესამჩნევად კლებულობდა. ავდრისაგან შეშინებული ჩიტები ბუჩქებიდგან გამოძვრნენ და ჰაერში მათი საამო ჰანგები გაისმა.

— კაცო, არ წახვალ დედაშენის აბის გასაგებად? ამბობენ ორაგვის ღელე გადიდებულაო. უბედურება რამ არ შემთხვევოდესთ, ჯვარი აქანაი. ასე ეუბნებოდა უფროსი რძალი თავის ქმარს, ოტიას.

ოტიამაც ქალამნის ზონრები შემოიჭირა და პეტრიასკენ გაემგზავრა.

ქოხში ყველასაგან ცნობილი მოხუცი მღვდელ-მონაზონი, გაბრიელი დახვდა. მელანია ლოგინში იწვა და სიცხისაგან ჰბოდავდა.

იმ უბედურ დილას მელანიას საშინელი წივილ-კივილი ვიღაც მწყემსს გაეგონა და მიერბინა ამბის გასაგებად. ქოხში მშობიარე დედაკაცი დახვედროდა. ბებიის ძებნის დრო აბა სადღა იყო და ბებიაობა მელანიასათვის იმ მწყემს გაეწია. საბრალოს ვაჟი დაებადა. დედა გულ-შემოყრილი ეგდო. მწყემს ბერებისათვის შეეტყობინებია და მას აქეთ გაბრიელი სულ აქ არის, როგორც შეუძლია უვლის და ლოცვებს უკითხავს, მაგრამ მორჩენის იმედი მაინც არა აქვს. ბავშვი ერთმა კეთილმა დედაკაცმა აიყვანა დროებით საძუძუროდ.

ოტია იმ წამს შინ დაბრუნდა. დაუძახა მეზობლებს, წავიდა დაღრჩობილების საძებრად. კარგა ხან ძებნის შემდეგ ხის ძირ ქვეშ პეტრიას გვამი იპოვეს. ბარძაყები ფოცხვერს გამოეჭამა. გადააბრუნეს ძირი, გულ მკერდი და თავი ერთიან დაჭეჭყილი ჰქონდა. დედაბერი-კი, არ იქმნა და არა, ვერ იპოვეს. რამდენისამე ხნის შემდეგ ორაგვის ღელეს დედაბრის გვამიც კიდეზე გაერიყა.

—

გაიარა კარგა ხანმა. მელანიას მძლავრმა აგებულებამ სძლია ავადმყოფობას. დარჩა საბრალო ქალი მარტოდ-მარტო, ერთის წლის ობლით. მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა, თუ მეზობლების დახმარებით და თუ თავის მარჯვე მკლავების წყალობით სცხოვრობდა, როგორც იყო. მართალია, ბევრს უნდოდა შეეყვანათ ოჯახში ასეთი გამრჯელი ახალგაზრდა ქვრივი და ბევრი საქმრო გამოუჩნდა, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა მელანია. ჯერ ეს ბავშვი ფეხზე დავაყენო და მერე მონოზნად უნდა შევდგე, ჩემის ქმრის საფლავზე უნდა დავლიო სული, ასე ეუბნებოდა სულ ყველას. რის ვაი-ვაგლახით გამოზარდა მელანიამ ობოლი. ექვსი წლიწადი რომ შეუსრულდა დათიკას, დედამ გაბრიელს მიაბარა ხუცურის სასწავლად. თვითონაც მონასტრის ახლო ფაცხა მოიღობა და მონოზნად შედგა. მუდამ დღე მელანიას ხელში ცოცხი უჭირავს და მონასტრის ეზოსა ჰგვის. მისი საბრალო პეტრიას საფლავზე ხომ ჭიანჭველასაც არ გადაარონინებს. სტირის და ლოცულობს. ყოველ კვირა ბერებს სეფისკვერს მიუტანს და ნაწილს ამოაღებინებს ხოლმე პეტრიას სულის მოსახსენებლად.

ვერ გაუძლებდა ამ ჩაშხამულ სიცოცხლეს მელანიას დატანჯული გული, თუ რომ დედობრივი სიყვარულის შუქი არ უბრწყინავდეს გულში. როცა დათიკა სამრეკლოზე გადმოჯდება და თავის ზარისებრ კრიალა ხმით „მიწყალეს“ ჩაარაკრაკებს, ამ დროს დედა მისს ყველა ძველი ტანჯვა ავიწყდება და სრულიად ბედნიერი სიყვარულით წამოიძახებს: „შენ-კი დაგენაცვლოს დასამიწებელი დედაშენი, ნამდვილი პეტრიეიაო!“

იასონ ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნი გ. წ—ი ქუთაისიდამ მოწერილს დაბა და სოფელში, რომელიც დაბეჭდილია „ივერიის“ მე-47 №-ში, ჰბძანებს, რომ ქალაქის თავმა შეიტანა ქუთაისის ქალაქის საბჭოში სარჩიელი მესამე გამგეობის წევრის დანიშვნის გამო იმ აზრით, რომ ვითომ მე ვუნდები ჩემ დიდ შემოსავლიან სახლებისა და დუქნების მზრუნველობას და ვითომ გამგეობაში არა საქმეს არ ვასრულებ.

ამაში შემცდარი ბძანდება ბ-ნი გ. წ—ი. მობძანდეს გამგეობაში და იქ დაეუმტკიცებ საბუთებითა, რომ შემცდარი ბძანდება. ეხლა-კი მოვახსენებ შემდგომს: ჩემს ამორჩევამდინაც იყო კითხვა აღძრული მასზედ, რომ დანიშნულიყო კასირი, რადგანაც სამის თუ ოთხის წლის განმავალობაში კასირის თანამდებობას, რომელსაც ეხლა მე ვასრულებ, თითონ ბ-ნი ქალაქის თავი ასრულებდა. ბოლოს ნაცვლად კასირისა ისურვეს დანიშვნა ზოგმა მესამე წევრისა, ზოგმა კასირისა და ზოგმა შემასრულებელ მოხელესი და ყოველივე ეს სარჩიელი იყო გამოწვეული იმ გარემოებით, რომ საქმე და ანგარიშები ჩემს ამორჩევამდინაც რიგზე და დროზე ვერა სრულდებოდა.

ბ-ნი გ. წ—ი ცოტა უფრო მეტის სიმართლის მოყვარე რომ ყოფილიყო, ამ ჩემს მოხსენებას დაინახავდა თითონ იმ სიტყვიდამ, რომელიც წარმოსთქვა ხმოსანმა დ. ლორთქიფანიძემ.

შემდეგ ბ-ნი გ. წ—ი ბძანებს, რომ ხმოსანნი აიღოშენ, აღდგნენ ღაღადთ და დაამტკიცეს მრავალ ნაირ საბუთებით ჩემი უმაქნისობა და რომ მე არა ვარ ღირსი ჩემის თანამდებობისა. მართალს ბძანებს ბ-ნი გ. წ—ი, რომ ზოგიერთნი ხმოსნები სწორედ „აიღოშენ და აღდგნენ ღაღადთ“, მაგრამ მიკვირს, რომ ის-კი ვერ შეუტყიათ თუ რა აღაღადებდა, ანუ აყაყანებდა: გულ-დათუთქულობა, რომ მე ჯამაგირს ვიღებ და სხვებზე ნაკლებსა ვშრომობ, თუ პირადი მათი ანგარიში და მათი კერძო საქმეები ჩემთანა მამულების გამო.

ეს იმათი კერძო ამბები რომ შეეტყო ბ-ნს გ წ—ს, მაშინ იმასაც მიხვდებოდა, თუ რით ხელმძღვანელობენ ზოგიერთნი ჩვენი ხმოსნები საზოგადოების სამსახურში ჩამდგარ კაცის გასაკიცხავად და მაშინ ასე უსაფუძლოდ იმათ მიერ ჩემს გაკიცხვას არ უწოდებდა მრავალ ნაირ საბუთებით დამტკიცებად ჩემ უმაქნისობისა და სხვა.

ბ-ნი კორრესპონდენტი იხსენიებს გრაფის ლორის-მელიქოვის დასაფლავებაზე მოხდენილ გზის ხარჯზე ბაასსაცა. ყველა თავ-მოყვარე ხმოსნისთვის ის სამწუხარო ბაასი, რომელიც მოხდა ამ საქმეზე, ფრიად საყურადღებო საქმე იყო, მაგრამ ბ-ნმა კორრესპონდენტმა ეს საქმეც-კი მარტო იმით მოიხმარა, რომ ჩემთვის კიდევ ერთი ქვა ესროლა. აი საქმე როგორ იყო: ბ-ნმა ქალაქის თავმა დააპირა ქალაქს წასვლა; თან უნდა წაჰყოლოდა ორი ხმოსანი, ამ დეპუტაციის ტფილისში წასასვლელად, ჰამქრების გზის ხარჯად რიონის სადგურამდე და აგრეთვე გვირგვინის სასყიდლად ტფილისში შესდგა სულ 150 მანეთი. როცა დრო მოვიდა წასვლისა, ქალაქის თავთან ერთად ისურვა წასვლა ხმოსანმა ბ-ნმა გველესიანმა და მეორე მსურველი-კი არავინ არ გამოჩნდა. ყველანი უარზე დადგნენ უეჭველად იმიტომ, რომ ყველას რაიმე საქმე ექმნებოდა ამ დროს ქუთაისში. ბ-ნმა ქალაქის თავმა მე მომცა წინადადება, რომ გავყოლოდი და მეც დავთანხმდი და წავყევ. ხმოსანს გველესიანს უარი ეთქვა გზის ფულის მიღებაზე. ბ-ნმა ქალაქის თავმა და მე უარი არ განვაცხადეთ. იმ ხანებში მე მქონდა გასაგზავნი ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 2,000 მანეთი. ვისარგებლე ჩემის წასვლითა და თან წავიღე ეს ფული და შევიტანე ბანკში. ეს იყო ჩემი საკუთარი საქმე და ამის შესრულება ქუთაისიდგანვე შემეძლო ექვს მანეთად.

ერთი ბრძანეთ: აქ რა იყო სამარცხვინო და თუ სამარცხვინო იყო ის, რომ მეც უარი არა ვსთქვი გზის ხარჯის მიღებაზე, როგორც ბ-ნმა გველესიანმა, რატომ ამასთანავე ამ გვარივე უარის არ ჰყოფა არ იყო სამარცხვინო ბ-ნ ქალაქის თავისათვის. სამარცხვინო ის-კი არ იყო, რომ ბ-ნმა ქალაქის თავმა და მე უარი არ განვაცხადეთ ქალაქისაგან დანიშნულ გზის ხარჯის მიღებაზედ და რომ იქ ყოფნით ვისარგებლეთ რამე ჩვენი კერძო საქმეც შეგვესრულებინა, რომელსაც რამდენიმე საათი დრო ეჭირებოდა. არა, ბ-ნო გ. წ—ო! არამედ სასირცხვილო ის იყო, რომ ამისთანა საგანზე ხმოსნებმა იკადრეს ის, რაც ამის თაობაზედ მოხდა იმ საბჭოში...

მე საზოგადოებას ვერ შევკადრე ოთხიოდ თუმნის ჩუქება, ჩემის ხარჯით წასვლა, მაშინ-როდესაც დანიშნული იყო ქალაქისაგან საგზაო ხარჯი. ქალაქს სამოწყალო არა უჭირსრა, რომ ჩემი საკუთარი ფულები ეხარჯო მის საკუთარ საქმისათვის, რომლის შესასრულებლადაც თითონვე დანიშნა სახარჯო ფული.

ეს-კი დაივიწყებია ბ-ნ კორრესპონდენტს, რომ ხმოსანმა გველესიანმა ჯერ მიიღო მადლობა საზოგადოებისაგან, გზის ხარჯი რომ შეაწია ქალაქს, და შემდგომ-კი მოითხოვა ის ფულები და მისი თხოვნა იქმნა კიდეც ერთხმად შეწყნარებული.

ბოლოს ბ-ნი კორრესპონდენტი შეეხება ყველასაგან პატივცემულსა და საზოგადოების წინაშე დამსახურებულს ხმოსანს თავ. პავლე თუმანოვსა და ერთს ქვას იმასაც ესვრის, რომ მან გაბედა ხმის ამოღება. ბ-ნს კორრესპონდენტს შეუტყვია, რომ ის ჩემი მახლობელი ნათესავეა, აქედგან ის უფიქრია, რომ უეჭველად გამგეობის წევრად ჩემს ამორჩევაში ის ჩემი მახლობელი ნათესავი დიდს მონაწილეობასა და დახმარებას მიიღებდაო და ამ აზრს ისე გაუტაცნია კორრესპონდენტი, რომ არწმუნებს მკითხველებს, ვითომ ბ-ნი პავლე თუმანიშვილი ჩემ თავდებადაც დამდგარიყოს არჩევანების საქმეში.

ვარწმუნებ ბ-ნ კორრესპონდენტს, რომ პავლე თუმანიშვილი არა თუ არ დამხმარებია ჩემს არჩევანში, არამედ კიდეც პირ-იქით მირჩევდა, რომ კენჭი არ მეყარა და გამგეობაში არ შევსულიყავი და თუ მე ჩავდექ საზოგადო საქალაქო საქმეში, ხელმძღვანელობდი მხოლოდ იმით, რომ მიმეღო შეძლებისამებრ მონაწილეობა საზოგადო საქალაქო სამსახურში, რადგანაც ქუთაისის დაწინაურება არა თუ ფრიად სანატრელია ჩემთვის, როგორც ყველა ქუთაისში მკვიდრ თათვის, არამედ დიდად სასარგებლოცა, რადგანც ღვთის მოწყალებით კარგი მამულის მეპატრონე ვარ, როგორც თვით ბ-ნი გ. წ—ი გვიმტკიცებს. ბ-ნი კორრესპონდენტი რომ იწერება, პავლე თუმანიშვილი გამოესარჩლაო, რატომ არა ჰბძანებს რაში გამომესარჩლა?

თუ ყურთა სმენა არ ღალატობს ბ-ნს გ. წ—ს, პავლე თუმანიშვილი ამტკიცებდა მხოლოდ იმას, რაც წინათ ჰქონდა გარკვევით ნათქვამი ხმოსანს ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეს, ესე იგი: რომ რიგიანად შესრულება იმ მოვალეობისა, რომელიც მხვდა მე ჩემდა წილად, შეუძლებელია ერთის კაცისათვისაო.

ვათავებ ამ ჩემს შენიშვნებს და ვსწუხვარ, რომ ბ-ნ გ. წ—მა ასე უხეიროდ მოიხმარა ის მასალა, რომელიც ჰქონდა და რომელიც უფრო გამოსაყენებელი იყო არა ჩემდა ასე უსამართლოდ გასაკიცხავად, არამედ გამოსახატავად იმისა, თუ რა თავმოყვარეობის პატრონები არიან და რა დიდებისა და პატიოსნების სახელს უჭედავენ ზოგიერთი ხმოსნები ქუთაისის საქალაქო საზოგადოებას იმ გვარ გულ-დამწველობით, რომელიც აღმოიჩინეს მათ გრაფ ლორის მელიქოვის პატივ-საცემლად დახარჯულ ფულზედა.

ვასილი აკოფოვი

ქუთაისი

## უცხოეთი

სერბია. სერბიის ახალ სამინისტროში მთავარ-მინისტრად არის გენერალი საბა გრუიჩი, რომელსაც საგარეო საქმეები აბარია. გრუიჩმა სამხედრო განათლება მიიღო ბერლინში. მერე დაბრუნდა სერბიაში და ერთი წელიწადი იმსახურა. ერთის წლის შემდეგ რუსეთში იქმნა გაგზავნილი სამხედრო მეცნიერებაში განსავითარებლად. რუსეთში გრუიჩმა გაათავა კურსი პეტერბურგის სამხედრო აკადემიაში და დაბრუნდა თავისს სამშობლო ქვეყანაში. აქ რადიკალობა დაიწყო, დაუახლოვდა მეტად ლიბერალურს გაზეთს „Явность“-ს და ამის გამო სამსახურიდამ იქმნა დათხოვნილი პროტიჩის, ეხლანდელის რეგენტისა მთავარ-მინისტრობის დროს. 1876 წლის ომი რომ დაიწყო, კვლავ მიიღეს სამსახურში. გრუიჩი გენერალ ჩერნაევის ხელში ჩავარდა და მალე დაწინაურდა. მიიღო პოლკოვნიკობა და მერე მთავარ-შტაბის უფროსობა. 1877 წელს რისტიჩის სამინისტროში სამხედრო-მინისტრად იქმნა დანიშნული. ამ თანამდებობაში დარჩა 1879 წლამდე. შემდეგ პიროჩანც-გარაშანინის მინისტრობის დროს ელჩად იყო ჯერ ათინაში და მერე პეტერბურგში, საიდამაც 1887 წელს დაბრუნდა და მცირეოდენის ხნით პირველ-მინისტრად იყო რადიკალურს სამინისტროში.

სამინაო საქმეთა მინისტრად არის კოსტა ტაუშანოვიჩი. ტაუშანოვიჩმა სწავლა მიიღო სამეურნეო სკოლაში და მერე დიდხანს იყო გართული სავაჭრო საქმეებში. ჯერ პიროჩანცის მომხრე იყო, მაგრამ როცა ამ კაცის დასმა სამინისტრო შეადგინა, ტაუშანოვიჩი რადიკალებს მიემხრო. ზაიჩარის აჯანყებაში დიდი მონაწილეობა მიიღო 1883 წელს. ამაზე სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა, მაგრამ მთავრობამ სიკვდილის მაგიერ ციხეში დააპატიმრა. 1886 წელს სრულიად იქმნა შეწყალებული. ამას შემდეგ ბევრმა დაანება თავი რადიკალების დასს, ტაუშანოვიჩმა-კი არ უღალატა რადიკალობას. უკანასკნელმა დიდმა სკუპჩინამ ტაუშანოვიჩი აირჩია თავმჯდომარედ. ამ ჟამად ტაუშანოვიჩი 40 წლისა იქნება და შესამჩნევი სახელმწიფო მოღვაწეა ზომიერ რადიკალების დასში.

საერო განათლების მინისტრად არის სვეტოზარ მილოსლავლევიჩი, ზომიერი პოლიტიკოსი. რადიკალობს, მაგრამ ისე არა ცხარობს, როგორც უმწვერვალესი რადიკალები. ფინანსთა მინისტრი დოქტორი ვუიჩი ჯერ ისევ ყმაწვილი კაცია. ესევე ადგილი ეჭირა ვუიჩს შარშანდელს რადიკალთა სამინისტროში. ვუიჩს ძალიან კარგად ესმის თავის ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ გააუკეთესა თავის მხნეობითა და მეცადინეობით. საზოგადოდ ვუიჩი ძალიან მხნე კაცია. სერბიის დიდს სკოლაში (უნივერსიტეტში) ვუიჩი საპოლიტიკო ეკონომიის პროფესორია და სტუდენტებს ძალიანაც უყვართ. ესევე ითქმის იუსტიციის მინისტრის გერშიჩის შესახებ, რომელიც აგრეთვე პროფესორია იმავე სკოლაში.

საერო სამუშაოთა მინისტრი ველმიროვიჩი ერთი უხუცესი მეთაურთაგანია რადიკალთა დასისა. სამხედრო მინისტრი გიურიჩი წინად სამხედრო დეპარტამენტის უფროსად იყო. გიურიჩს რამდენიმე შესანიშნავი თხზულება აქვს დაწერილი სამხედრო შინაარსისა. უკანასკნელის ომის დროს გიურიჩი იყო საინტენდანტოს უფროსად, ხოლო შემდეგ თავმჯდომარედ საეგზამენიო კომისიისა შტაბ-აფიცერთათვის.

## წვრილი ამბები

ამას წინად ლონდონის ერთს სასამართლოში ახირებული საქმე გაურჩევიათ. დამნაშავე ყოფილა ერთი ახალგაზდა, ყმაწვილი ქალი, გვარად ჭარიეტა მუირი. აი რა დანაშაული ჰბრალდება ამ ყმაწვილს ქალს: ს.-ჯორჯის ყაზარმის დარაჯთან მივიდა ერთი ახალგაზდა, მოსული ყმაწვილი კაცი და სთხოვა, რომ სამსახურში მიმიღეთო. ეს ჯარში შესვლის მსურველი გაჰგზავნეს თურმე ექიმთან შესამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ დედაკაცი იყო, ჭარიეტა მუირი. როცა მოსამართლემ ჰკითხა, რად ჩაიდინე ასეთი ახირებული საქციელიო, მიუგმა უპასუხა: ფერმერის ქალი ვარ, ახალ-ზელანდიელი და სამშობლოში ვცხოვრებდი 18 წლამდე. ბოლოს მომბეზრდა უქმად ყოფნა, გამოვიქეცი სახლიდგან, მოვედი ლონდონს და არტისტობა ვცადე, მაგრამ ამაოდ, ნიჭი ვერ გამოვიჩინე. შემდეგ გადავწყვიტე სამხედრო სამსახურში შესვლა ჯარის-კაცად, მაგრამ არც აქ წამემართა საქმე. სასამართლოს, რაღა თქმა უნდა, გაუმართლებია ეს ყმაწვილი ქალი და ზოგიერთ იმის ქვეყნელებს, გაუგიათ თუ არა ეს ამბავი, ფული შეუკრებიათ და უნდათ მუირი სამშობლოში გაგზავნონ.

— საფრანგეთში მშვენიერსა და ტურფა ქ-ნს ტ—ნს შემოუღია ახალი ხარკი და ხელოვნება საქველ-მოქმედო საქმეებისთვის გამოუყენებია. ამას წინად ერთს ბალში შესულა თუ არა ქ-ნი ტ—ნი, ვიღაც კოპწიად ჩაცმულს ყმაწვილს კაცს მიუწვევია საცეკვაოდ.

„— დიდის სიამოვნებით, თუ ერთს თუმანს მომცემთო, უპასუხნია ქ-ნს ტ—ნს.

„— უკაცრავად, ბატონო, ჩვენ, მგონი ერთმანეთისა არა გვესმის-რა. მე ისა გთხოვეთ, რომ ჩემთან ვალსი იცეკვეთ-მეთქი.

„— დიახ, მე შევცდი. მე ასე მეგონა კადრილის ცეკვასა მთხოვდით, ვალსი ყოფილა და ვალსი-კი ორი თუმანია.

ყმაწვილი კაცი უფრო გაოცდა და გაჰკვირდა თურმე, ხოლო ქ-ნმა ტ—ნმა ცნობის მიმტაც ღიმილით აუხსნა:

„— უნდა შეგატყობინოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მხოლოდ ღარიბთა სასარგებლოდ ვცეკვავ. კადრილი ერთი თუმანი ჰღირს, ვალსი—ორი. ეს ფასი შეუცვლელია და არავის არაფერს დავუკლებ ხოლმე.

გერმანიის ზოგიერთ საზოგადოებაში ეხლა მოდად შემოსულა ერთ გვარი ცეკვა, ესრედ წოდებული ნიკელტანცი, რომლის დროსაც ქალები იწვევენ კაცებს საცეკვაოდ და ყოველმა მიწვეულმა კაცმა საზოგადოების სასარგებლოდ ერთი აბაზი და ან ექვსი შაური უნდა გადაიხადოს. ასე და ამ გვარად არის შეერთებული სასარგებლო საქმე სასიამოვნოსთან.

— „Figaro“ გვიამბობს სასაცილო ამბავს, რომელიც პარიჟის ერთს გამოჩენილს არტისტ-ქალს დაჰმართნია. ამ ქალს მეტად ლამაზი ქერა თმა ჰქონდა თურმე და მოიწადინა თმის ფერი შეეცვალა და წითელი, მუქი ქერა თმა ეტარებინა. ამ განზრახვით მიჰმართა ერთს ოსტატს დედაკაცს და თმის შესაღები წამალი სთხოვა. ორი საათი იჯდა თურმე ეს ყმაწვილი ქალი თმის ფერის შემცვლელ ინა-დადებული და იმედი ჰქონდა, რომ ჩემი თმა ვენეციის ოქროს შეუდარებელ ფერისა შეიქმნებაო. დარწმუნებული იყო თურმე, რომ რაკი ასეთი თმა მექნება, დიდ-ძალი თაყვანის-მცემლები გამომიჩნდებიან და ეხლანდელნიც ერთი-ორად იმატებენო. ამ სურვილის მისაღწევად ორის საათის განმავლობაში ინა-დადებული ჯდომა რა ბედენაა? აგერ ჩამოიბანა ყმაწვილმა არტისტმა-ქალმა თმა და შენს მტერს!.. მშვენიერი მუქ ქერა თმის მაგიერ თმა ბაცი მწვანე ჰქონდა, ზურმუხტის ფერისა. საბრალო ქალი სასოწარკვეთილებაში მოვიდა, დაიწყო ტირილი და სთხოვდა წამლის დამდებს: მიშველე რამეო! მთელი დღე იწმინდა თურმე შემდეგ თმები, იბანა, იხეხა, ათას გვარი წამალი იცხო და ძლივს გაიხადა გამწვანებული თავი იმავე ფერისა, რა ფერისაც წინადა ჰქონდა.

## გასართობი

### ცოლია უფრო ბრალი, თუ ქმარი?

როგორ უნდა განისაჯოს ცოლ-ქმართა შორის ლალატი, ვინ უფრო დამნაშავეა ლალატის დროს, ქმარი თუ ცოლი, და საზოგადოდ ამ მხრით შესაძლებელია, რომ ქმარი იყოს დამნაშავე? აი ეს საყურადღებო საკითხი დაუბეჭდია „Figaro“-ს თავისს ფურცლებზე და მკითხველებს მიჰმართავს პასუხის შესატყობლად. მკითხველთა პასუხმაც არ დაიგვიანა და ეს პასუხები საოცარია თავისის სხვა-და-სხვაობით. ცოლ-ქმართა შორის ლალატის საქმე, დიდი ხანია გადაწყვეტილი სარწმუნოებისა, კანონ-მდებლობისა და ოფი-

ციალურ ზნეობის მიერ, ხალხის თვალში ჯერ კიდევ სრულიად გადაწყვეტილი არ არის და ისეთი ზომა არა აქვს დადებული, რომ ყველას შეეძლოს ერთი და იგივე ნათელი აზრი წარმოსთქვას.

მკითხველნი ამ საქმის შესახებ ორ დასად განაწილებულან. ერთნი ამტკიცებენ: ღალატი, ესრედ წოდებული ადიულტერი ქურდობაა, ქმრის მხრით იქმნება, თუ ცოლისა, სულ ერთია; მეორე დასი, მფარველი მამაკაცთა, კაცს ადარებს იმ „გუგულს, რომელიც სხვის ბუდეში სდებს კვერცხს“ და ამ შედარებით ამართლებს. ვაჟკაცი თუ ჰღალატობს ცოლს, „თავ-ქარიანობით“ მოსდის, დედაკაცის ღალატს-კი „დანაშაული, ავაზაკობა“ უნდა დავარქვათ, რადგან შეიძლება ქმარს სხვისი შვილი მიუყვანოსო.

ზოგიერთ მკითხველთა აზრი ფრიად საყურადღებოა და ზოგი სასაცილოა, მახვილად დაწერილიც. უმეტესობა უფრო კაცის მხარეს არის, დედაკაცს ახვევს თავზედ ყველაფრის ბრალსა და დანაშაულს. ერთი სტატისტიკოსი, მაგალითებრ, რიცხვებს მცხოვრებთა რაოდენობისას თავისებურად ჰხმარობს და ამბობს, რომ რადგან დედაკაცები რიცხვით უფრო მეტნი არიან, ამიტომ მამაკაცთ უეჭველად ნება უნდა მიეცეთ რამდენისამე ცოლის შერთვისა, ან რამდენსამე დედაკაცთან ცხოვრებისა, დედაკაცი-კი მხოლოდ ერთის კაცით უნდა დაკმაყოფილდესო. მეორე ამტკიცებს—უსტატისტიკოდ,—რომ თუ მამაკაცი თავს თავისუფლებას აძლევს ცოლ-ქმრულს ცხოვრებაში, დამნაშავე ცოლია, რადგან ქმრის დაახლოვების, მიზიდვის უნარი არა ჰქონიაო. მესამე მფარველი და მომხრე მამაკაცთა სცდილობს დაარწმუნოს მკითხველნი, რომ ცოლს ნება არა აქვს ქმარს ერთგულება მოსთხოვოს, რადგან „ქორწინების დროს ასეთი პირობა არ ჩამოურთმევიაო“. ასე რომ, იმათის აზრით, რადგან ყმაწვილი ქალი გათხოვების დროს გამოუცდელი ყოფილა, ქმრის შეურაცხყოფაც უნდა აიტანოსო. კაი ლოგიკაა, არა, ჩვენო მკითხველო?

„Figaro“-ს მკითხველთა შორის ბევრია ქალიც, რასაკვირველია. ზოგიერთი ამ ქალთაგანი ქმრის ღალატს დიდად გულ-ცივად იხსენიებს; მეორენი, ქმრის ღალატის სასტიკნი მსაჯულნი, უფრო სასტიკად ეპყრობიან მოღალატე ცოლებს. ვილაც ვიკონტესა საქმეში ჰრევს ყმაწვილს და ამბობს, რომ ყმაწვილი უნდა იყოს მსაჯული და მოსამართლე ცოლ-ქმართა შორისაო. „წამოწითლდება ხოლმე თუ არა ბავშვი მამის სიცელქის გამო? არა, არ წამოწითლდება. დედის შეცდომის გამო? რასაკვირველია, წამოწითლდება,— და აი ეს გარემოებაც საკმაოა ამ საკითხის გადასაწყვეტადაო“, აცხადებს სულ-სწრაფი და დაუფიქრებელი ვიკონტესა. ასე ერთის სულის შებერვით საქმის გადაწყვეტა, რაღა თქმა უნდა, ბევრს არ დააკმაყოფილებს.

აი რასა სწერს მეორე კორრესპონდენტი, გრაფი ს—ნი: „ცოლის ან ქმრის ღალატი საზოგადოდ შეცდომაა, ავაზაკობა, გასაკიცხი და გასაკილი საქციელია, ხოლო ცოლის ღალატი-კი უფრო შესანდობარი და შესაწყნარებელია, ვიდრე ქმრისა. თუ ქმარს ამ მხრით ერთი ფეხი გადაუბრუნდა, ჩქარა დაეცემა და გარყვნილების მორევში ჩაიყურყუმელავებს თავით ფეხამდე. ცოლი-კი, თუ პატიოსანი და რიგიანი დედაკაცია, ამ გვარ ფეხის გადაბრუნების შემდეგაც ისევე რიგიანი და მართებული იქნება. თუ ზნეობით ძირს ეცემა, საზოგადო მართებულობა თავს აჭერინებს და საბოლოოდ არ უკარგავს გზა-კვალს“. და მართლაც, არა იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ ქმარი თავისს ქონებასა და ცოლის მზითევსაც, ვინ იცის, ვის მიაჭულეტავს და თუ, ზემოდ მოყვანილ ვიკონტესას ნათქვამისამებრ, ყმაწვილი მამის სიცელქის გამო არა წითლდება, ბევრს გაჭირებას ითმენს ხოლმე.

ერთი ამბობს: „ღალატის ჩამდენს ცოლს ოჯახში სხვისი შვილი შეჰყავს, ქმარი ამას არ სჩადის და აი ამ მხრით არის ცოლის ღალატი ქმრისაზედ უფრო ბრალიანი, უფრო უმეტესი. ამისთანა დამნაშავე ცოლმა ქმარს უნდა მოახვიოს თავზედ სხვისი ბავშვი, გაახრდევინოს, თავისს შობილ შვილსავით შეაყვაროს ეს ცოცხალი საბუთი ცოლის მიერ ქმრის ღირსებისა და პატიოსნების შელახვისა,—აი ეს არის საშინელი დამცირება და ასეთი დამცირება უნდა აიტანოს ყოველმა დამნაშავე ცოლმაო“. მეორე—ალბად დედაკაცივე—ამბობს: რა ბარდებში ებმევით და დაგიყინიათ, სხვისი ყმაწვილი უნდა შეიყვანოს ოჯახშიო და სხ. თქვენ რომ დაგიგდოთ კაცმა ყური, იმ აზრს დაადგება, რომ ორმოც-და-ათ წელს გადაცილებულს დედაკაცს ყოველ გვარ საქციელის ჩადენის უფლება აქვსო“.

ამავე აზრს ერთი ექიმი უფრო სადად გამოსთქვამს: „ქმრისა და ცოლის ღალატში არავითარიმე განსხვავება არ არის, თუ დედაკაცი უშვილოაო“. ეს ნაყოფი შეცოდებისა ყველას არ უკარგავს დავთარს აზროვნობისას. არიან ისეთი მკითხველებიც, რომელნიც ამ გარემოებას საკვეთილოდ სთვლიან და ამტკიცებენ: „ადამიანის ჯიშისა და ჯილაგის გაუკეთესებისა და გაუმჯობესების მხრით ცოლსა და ქმარს შორის ღალატი აუცილებელი ბოროტებაა და ამ ბოროტებას თავისი სიკეთეცა სჭირსო“. ეს შეხედულობა, როგორც ჰხედავთ, ფიზიოლოგიურია და, მაშასადამე, ქორწინება, მამაკაცისა და დედაკაცის ერთად ცხოვრება ამ მხრით პირუტყვობასთან არის შედარებული. თუმცა ასეთი შეხედულობა მეტად ახირებული შეხედულობაა, მაინც პირველი არ არის „Figaro“-ს მკითხველთა პასუხთა შორის.

# დეპეშა

11 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს გარდაიცვალა გრაფი შუვალოვი, ლონდონში რუსეთის ელჩად ნამყოფი.

ტავრიდის ვიცე-გუბერნატორი გენერალ ნოროდი დანიშნულია უფის გუბერნატორად.

პალესტინის საზოგადოების საბჭო უარ-ჰყოფს იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც გაავრცელეს ამის შესახებ, ვითომ საზოგადოება მონაწილეობას იღებდა აშინოვის ექსპედიციაში.

საბჭო აგრეთვე უარ-ჰყოფს იმ ხმებსაც, რომელიც მამა პაისის მისიის შესახებ გაავრცელეს.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“ უარ-ჰყოფს ამ ამბავს, ვითომ საფრანგეთის ზღვის ოფიცრები სალალოში სცარცვავდნენ და ჰგლეჯდნენ ხატებს. პირიქით, ფრანგები სცდილობდნენ კარგად მოპყრობოდნენ რუსებსაო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—ჳპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
მარტი 31 დღით არის.

**12 დღე კვირა.** ღირსისა მამისა და აღმსაარებელისა თეოფანესი. კათოლ. წმ. ტიბერიასი. მაჰმად. მე-21 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16. მთვარე 23 დღისაა.

**13 დღე ორშაბათი.** აღმოყვანება ნაწილთა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა ნიკიფორესი. კათოლ. წმ. ეკატერინესი. მაჰმად. მე-22 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა სახალხო პოეტი იოსებ დავითაშვილი, 1887 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 6—18. მთვარე 24 დღისაა.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის სამკითხველოში და გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:
**სამის თავს გადასავალი**
მოთხრობა
ანტონ ფურცელაძისა.
გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1889 წლისა.

**აქტივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული | 20,069 | 64 | | |
| გირაოს ფურცლებით | 171,600 | — | 191,669 | 64 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | 16,134 | 27 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში | 873 | 89 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 37,259 | 17 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან | 18,025 | 75 | 72,293 | 08 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | — | — | 30 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ საყოფლად გირაოს ფურცლების გამოშვებისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 202,417 | 39 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა და კუპონთა . (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,041 | 08 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში . . . . . (71,100) | — | — | 67,993 | 92 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელნი . . . . (19,900) | — | — | 16,915 | |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1889 წლისა | — | — | 2,401 | 98 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი | — | — | 57,800 | — |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე, $43^1/_2$ წლით | 1.115,700 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე $18^7/_{12}$ წლით | 2.208,900 | — | 3.324.600 | — |
| გ) მოკლე ვადიანნი სესხნი | — | — | 105,570 | — |
| მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც შეღავათი აქვთ: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ | 156,641 | 72 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთა | 5,201 | 30 | 161,843 | 02 |
| ბ) ვადას გადაცილებული გადასახადი: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ | 36,098 | 25 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ | 1,347 | 37 | | |
| ჯარიმა მოვალეებზე | 2,461 | 93 | 39,907 | 55 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი | — | — | 57,600 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები | — | — | 25,104 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები | — | — | 44,380 | 36 |
| დასაბრუნებელი ხარჯები | — | — | 135,435 | 89 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობ-მორთულობაზე | — | — | 1,644 | 80 |
| ბ) გამართვაზე, 1889 წ. გადამავალი | 411 | 55 | | |
| გ) არა-ჩვეულებრივი, 1889 წელშივე გადამავალი | 2,847 | 23 | 3,258 | 78 |
| გერბის გარდასახადი | — | — | 192 | 40 |
| კუპონები ოცის წლის გირავნობის ფურცელთა | — | — | 92,200 | — |
| ტალონები | — | — | 11,595 | — |
| **ბალანსი** | — | — | 4.718,476 | 50 |

**პასსივი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი | — | — | 539,107 | 26 |
| სათადარიგო თანხა | — | — | 57,091 | 64 |
| გირაოსფურცელნი გამოსაშვებნი $18^7/_{12}$ წ. | — | — | 57,800 | — |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანნი | 1.115,700 | — | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ | 2.208.900 | — | 3 324,600 | — |
| თანხა სარგებლისა: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი | 33,469 | 55 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ | 66,272 | 96 | 99,742 | 51 |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი | 4,727 | 26 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ | 66,795 | 84 | 71,523 | 10 |
| ფული, გადადებული საზღვევლად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა | | | | |
| ბ) 2 იანვრის 1889 წლის ვადის გირაოს ფურცელთა კუპონები | 78,400 | — | | |
| | 104,778 | — | | |
| გ) წინანდელ ვადებისა | 246 | — | 183,424 | — |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . $43^1/_2$ წ. | 91 | 88 | | |
| $18^7/_{12}$ „ | 1,036 | 78 | 1,128 | 66 |
| ბ) გირაოს ფურცლებით $18^7/_{12}$ წ. | — | — | 57,600 | — |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა | 5,493 | 34 | | |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული | 744 | 28 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა | 20,595 | 50 | 26,833 | 12 |
| გადასაცემი ფული: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით | 600 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით | 3,501 | 67 | 4,101 | 67 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასსაში: | | | | |
| ა) შესანახავად | 24,900 | — | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვა | 146,100 | — | 171,000 | — |
| სხვა-და სხვა კრედიტორები | — | — | 1,335 | 03 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი, ვადამდე შემოსული | — | — | 250 | 88 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები | — | — | 11,595 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა | — | — | 92,200 | — |
| 5% სახელმწიფო ლოტო | — | — | 1,232 | 10 |
| წმინდა მოგება 1888 წლისა | — | — | 17,911 | 53 |
| **ბალანსი** | — | — | 4.718,476 | 50 |

ბანკის გამგეობა

Доз. ценз. Тифлисъ 11-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи).. на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე